

## განმარტებითი ბარათი

### „თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმის“ პროექტზე

აღნიშნული ოქმი ითვალისწინებს თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 2.550.000 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდაათი ათასი) ახალი თურქული ლირის ოდენობის დახმარების გადაცემას თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის „სამხედრო გრანტის შესახებ“ 2007 წლის 10 ოქტომბრის შეთანხმების შესაბამისად.

ოქმის შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარება გაეწევა შემდეგი პროექტების განსახორციელებლად:

- ა. თავდაცვის აკადემიისთვის მატერიალური აღჭურვილობის შეძენა;
- ბ. სპეციალური დანიშნულების ნაწილის აღჭურვა;
- გ. მარნეულის სამხედრო აეროდრომის მოდერნიზაცია;
- დ. სამხედრო საზღვაო ძალების სარდლობისათვის აღჭურვილობის შეძენა;
- ე. გაერთიანებული შტაბის ლოგისტიკის უზრუნველყოფის ბატალიონის აღჭურვა;

ვ. საინჟინრო ბატალიონისათვის აღჭურვილობების შეძენა;

ზ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებული ქვედანაყოფების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაზრდა.

ამდენად, ზემოაღნიშნული ოქმი ძალზედ მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოსათვის, ვინაიდან უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციაში ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის შეძენას. ამასთან, აღნიშნული დახმარების გაწევა თურქეთის მხრიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას.